



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 23.

მაისი 29, 1894 წ.

№ 23

შინაარსი: შესანიშნავი მოვლენა.—პასენი, დიუტე მეგრელისა.—ჭრელი ფიქრები ავასია.—„ვისი ბრალისა“ ავტორს პეტრე პავლიძისა.—საფურადღებო ამბები.—მოზაიკა, ფერადი ქვის ანუ მინანქრის ხელობა გ. წერეთლისა.—ვაში ატყბული კოჭი.—მცირე ფიქრები ახალგაზდა ქართველისა—ყანალი თარხანისა.—ქესაქე დასის პროგრამა, სიცუვა ტერ-დევიტიანისი.

შესანიშნავი მოვლენა

მრევანდელმა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის კრებამ საკვირვლოთ მალე გამამართლა აკაკის წინასწარ-მეტყველება. როდესაც თითქმის საქართველოს ყველა კუთხეებიდან შეიკრიბნენ წარმომადგენელი თეატრის დარბაზში, ილია ჭავჭავაძემ ხმა ჰყო: ბატონებო ბეგრს რასმე უცნაურ ქორებს აერცვლებენ ჩემზე, ვითომც მე სკოლისა ზ განათლების წინააღმდეგი ვიყო. ვითომც ჩემი მეოხებით ბანკი საშემდეგობაში იყოს ჩაყარდნილი და მრავალი სხვა კითხვები დააყენა ისეთები, რომლებიც სულ დაწერილებით გამოირკვა საზოგადოების თვალწინ. ამ სახით კრება გადიქა საერო მოსამართლედ, რომლის წინაშე თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი მოწინააღმდეგენი ბეგრს უმართებულა მოქმედებას და საქციელს აბრალებდნენ ერთმანეთს. ყოველი აქ დამსწრე კრებისა თავისი თვლით ხედავდა და ისმენდა, განსჯიდა, ადგენდა გულში ბრალსადებ ოქმებს და გულისხმას ჰყოფდა, სად იყო მართალი და სად იყო ქორი, ამსახით თვით აქ შეკრებილმა საზოგადოებამ ზედ-მიწევნით სცნა ვინ იყო იმ აუარება მითქმა-მოთქმის მიხეზი და სად იხადებოდა ათასნა-

ირი ქორები, დღეს საერო სამსჯავრომ ყოველსავე ამაზე დაადგინა თავისი განჩინება. ევრავითარი გაზეთი, ევრავითარი წაღებულ-წამოღებულ ამბავი ისე ზედმიწევნით ევრ გამოაუხიზლებდა ჩვენ საზოგადოებას, ევრ განაქარწყლებდა ათასნაირს ქორებს, როგორც ეს საერო განსჯა. როდესაც ორი პარტიის მეთაურნი გამოვიდნენ საზოგადოების წინაშე და გამართეს ურთიერთ შორის კამათობა-ქილილი, თითოეთლს მათვანს მთელი ერის წარმომადგენელთა წინაშე მიეცა ღონისძიება თავის სიმართლედ დემტკიცებინა, ყველა მიხვდა დღეს, ვინ რისი მომქმედია, ყველამ თავის თვლით დაინახა მეთაურების ვინაობა, მათი ზნეობრივი და გონებრივი აულა-დიდება.

მაშასადამე თვით მეთაურებს აღარაფერი სამდურავი აღარ უმართებს; ის კი არა მართლაც, რომ ღირდა მართა ამის გულისთვის ორსავე მოწინააღმდეგე დასს მოეყვანა თავისნი მომხრენი, რომ მათ თვალწინ ერისა და ქვეყნის წინაშე თავი ემართლებათ ათასნაირ მითქმა-მოთქმისა და დაწამებისაგან. არც თ. ილ. ჭავჭავაძის, არც თ. ი. მაჩაბელს არა აქვთ საბუთი, რომ უსაყვედურონ ასეთს გარემოებას. ევრანებ, ისინი ძლიერ მოხარულნიც უნდა იყონ, რომ შემთხვევად მიეცათ პირის-პირ დემტკიცებინათ ერის წარმომადგენელთა წინაშე თავიანთი სიმართლე და მაქსიმათ ათას-

ნაირი კორბები, გავრცელებული თავიანთ თავზე. აი, რა მსურდა და რა უჩიჩა აკაცი წართვისელმა ჩვენ საზოგადოებას, როცა თავის „ქრული ფიქრებში“ საჯაროდ გამოაცხადა: „ბატონებო! ყურით გაგანილი ნუ გვკრათ და გწამდეთ მხოლოდ ის, რაც თქვენი თვლით ნახათ. ყური ტყუილია, თვალი მართალია“. მაგრამ, როგორც მოგვხსენებთ, პარტიობის მეშურნობით დაბრმავებულთა სხეანიართა ახსნეს ეს ქეშმარიტება და დენა უყენს მას; მაგრამ *! გასაკვირნი არა არის რა. მართლის მოქმედი ხომ იმ პირველშივე იწამა. ახლა პარტიობის ქარტახილი ნელ-ნელა ცხრება და ყოველს მეთაურს გული გულის ალაგას ჩაუღდა. დარწმუნებული ვართ, რომ თვით მეთაურნიც დიდი სიამოვნებით მოიგონებენ იმ წაშს, როცა მათ დიდ კრების წინაშე, საცა მოყვანილი ჩოხოსნებიც ბლომათ იყვენ, მიეცათ შეშობევა თავის გამართლებისა და თვით ჩოხოსნებსაც სიმართლემ თვალი აუხსლა.

ბერი მწარე მთრახები მოხდა ოპოზიციას ექილობების უწყისოდ შესახებ; მაგრამ რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ ხარეს დასდევს ბრალი, სამართლიანობა მოითხოვს მეორე მხარესაც თვალ-წინ დაუყენონ მათი გამამტყუნებელი საბუთები; მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, საჭიროა შევხებით ერთი ორატორის ქექა-ქუხილსა. ეს იყო ე. რ. ყიფიანი.

ყველაზე შესანიშნავი იყო ამ კრებაზე ვასილ ყიფიანის დიდნიშნელოვანი სიტყვა: „მდიდრებზე და ღარიბებზე ლაპარაკი უქმი სიტყვებიაო: *! (კარგათ დავეიროდით ამ სიტყვებს მეცნიერებელ საუკუნის გასულს ინტელიგენციით ამოხსნის ამას!)....

„გაძნობათ წარმოთქმული სიტყვები და ამასთანავე გულში მუქის ცემა ჩემზე არ მოქმედებს, არ მოქმედებს აგრეთვე პატიოსნებაზე მაღალი ფრაზეებით ლაპარაკი, რადგან ამ კვლავს გარეთ ისე მოქმედებენ, რომ იგი ყოველი წარმოსწინებელი და კაცური ღირსების დამამკირებელია“. სამწუხაროდ ორატორის სიტყვები ნამდვილი ქეშმარიტება და ამ ქეშმარიტებას ცოცხლად ხატავს „მწყმისი“. № 8 დაბეჭდილი შემდეგი სიტყვები:

„მოახლოვდა მისი და შეიქნა ჩენს დლოცვილის ქუთასში ვაცხარებული ფაციფული ექილობების და კენჭების მოპოვებისათვის. ვასაკვირველი ღ

დროის ნიშანი ის არის, რომ ამ ჭამად უფრო მეტად ვაცურებენ ტვილისელებს ავერტები ქუთასისა, ვიდრე ქუთათურ მოღვაწეთა დანდობლინი. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ერთი თვლისეული მოღვაწის ავერტებმა ქუთასის მსესებლები, რომელთაც მამული ბანკში აქეთ დაგირავებული, მეტისმეტად შეაწუხეს ლიტინით, რომ ექილობა მოგვეცით, თორემ საქართველოს დალუქვაში თქვენც ბრალი დაგედებათ და სხე... ნამდვილად ვიცით ისიც, რომ ზოგან კიდევ გაუჭირა მათს მეტყველებებს. ამასთან ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად ვთვლით ისიც მოვიხსენიოთ, რომ არც ერთი ზემოზე ხსენებული ავერტები თ. ი. მანაბლის არ ყოფილა. მართალია, ამას ამტკიცებს სასულიერო თურნალი, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დაევიწყებდით, რომ ეს ზემო აღნიშნული აშბები გამტყუნებელი ყოფილ იყოს მათგან, ვისაც პირდაპირ შეეხებოდა. სხვათა შორის ამ კრებებზე წარმოთქმული იყო ერთი მისთანა ამბავი, რომელიც საყურადღებოა ყოველი ქართველისათვის. ეს ამბავი გავხეივებშიც იყო გამოცხადებული, აი, რა წარმოთქვა, რომ სათავდადნაურთა სკოლის მასწავლებლები აგიტაციაში ერევიანო. ამან შეაძრწუნა კრება. მართლაც რა ნება აქვს მასწავლებელს მანებოს თავი ასეთს თავის წმინდა მოვალეობას; დაეიწყოს ჩენი შეილები და მასთან ერთად უორგულს ჩენს მოამავალს მხოლოდ იმ წერილმან ინტერესის გულისთვის, რომ დაეხმაროს ან ერთს, ან მეორე მხარეს არჩევიანებში. ამ ნაირად მომქმედი მასწავლებელი ვერაფრით თავს ვერ იმართლებს საზოგადოების წინაშე. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ იმათ შესახებ წარმოთქმული სიტყვა არ დამტკიცდა: ტვილისის სათავდადნაური სკოლის მასწავლებლებმა ერთხელ შეპკითხეს ორატორს: დაგვიახელეთ, ვინ არის მავისთანა? პასუხად ეს მიიღეს: აარცერთი თქვენგანი. ის ვერც იკითხავს, ვინ არისა? ყველაზე უფრო ააღელვა ამ ურიგო ქცევამ იმ ეინლაც დამსწრე მასწავლებლისა ბ. ვასილ ყიფიანი, ინსპექტორი ქუთასის სათავდადნაური სკოლის, რომელიც ეს ორი ვიკარა, სკოლისთვის, ვაგსმენებისათვის თავი დაუწებებია, სხვის ანაბარად დაუყრა მოსწავლე ყმაწვილები და ივერის სიტყვისა არ იყოს, დემოსთენსავით დღადღებს მოვალეობაზე და პატიოსნებაზე.

დამსწრე.

*! ისილე „Новое Обозр.“ № 3577

მ ა ს ხ ე ბ ი



ო, მწერალი ვარ და ჩემი სიტყვა, მინდა, ჩემ საქმეს ეწონებოდეს,

და ჩემს ნაწერში მტკიცე რწმუნება და გულწრფელობა იხატებოდეს; ჰო, მწერალი ვარ და მხოლოდ მისთვის ავიღებ ხოლმე ხელში მე კალამს,

რომ შევაძლო ყველას ის, რაც მძულს და შევაყვარო, რაც მიყვარს და მწამს!..

ჰო, მწერალი ვარ და არ ვეკუთვნი ამ მწერალთა გუნდს, შენგანვე შექმნილს, ვინც დღეს მონურად ფეხქვეშ გევაბა და, გულით შავი, გიჩენებს თეთრ კბილს;

ხელ კი, როს ფინჩხას აღარ გაღუყრი, იუდასივით ვადაგიდებდა და იმ იარაღს შენვე მოგმართავს, რომლითაც დღეს შენ გემსახურება,

ვინც ზნეობრივი სიმახინჯეა და გონებრივი არაბოაბა, ვის ღრუშანდელ მხოლოდ სწერია: „პირმოთენობა და უაზრობა“..

ჰო, მწერალი ვარ და ვერ შეგინდობ მწერალს მწერლობის გათახსირებას, იმის სავაჭრო საგნად გადაქმნას და კალმის ნაცულად „ჩოთქი“-ს აღებას!..

დუბუ შგვრული

24 მაისი 1894 წ.

ტფილსი

ჭრელი ფიქრები

ფვირ-სიტყვაობამ ერთი ზღაპრული ტიპი გადმოგვცა ქართველებს: „ნაკარ-ქეკია“, რომელიც ისეთივე სასაცილოა, როგორც „ღან-კიხობი“, „ფალსტაფი“ და „ივან ღურაკი“, თუმცა ეს უკანასკნელი ყველასგან განსხვავდება. ღანკიხობი, ეს ფერმიზნდელი რაინდობის სახე, სასაცილოა თავის გამოაზრახულებლობით, როდესაც ქარის წისქვილებს ებრძვის, ეითამც დევების წინააღმდეგ ებრძვიო, ცხერის ფარაში ფარ-ხმლით ჩაერევა და ელტავს სრულიად დარწმუნებული, რომ საჩინო-ზეზსა მესრს ვაგებო. ეს ღანკიხობი გულწრფელი და პატოსანი კაცია და ვტაცებულია კაცთ-მოყვარული იდგით. ამისთანა ვერ არის მეორე ტიპი ფალსტაფი. ის არის ცრუ, ბაქია, მატყარა, უძლიერი, ტრაზანი და იმევე ღროს თავის კუქის მონა. სულ რაინდულ რამებზე და პათოსნებაზე ლაპარაკობს ეს ყოვლად მხდალი და ლაჩარი არსება მხოლოდ იმ განზრახვით, რომ თავისი შინაგანი სილაჩრე მიწალოს და ბაქი-ბუქობით სხვას ლოკმა გამოსტაცოს. ეს ორივე ტიპი ნაციონალური არის და მსოფლიო-ცვა: სულ სხვა გვირია „ივან ღურაკი“. ეს არის მხოლოდ ნაციონალური ტიპი, საკუთრათ რუსეთის წინააღმდეგ ნაყოფი, რომელიც თავის კუზა-კეცზე ზის, თვითონაც არ იცის, სად მიდის და რისთვის მიდის, მაგრამ მისი ბედი, რაღაც ვარემუ ძალი, ყველგან და ყოველთვის ენმარება და ამარჯვებინებს. იქნენი „ნაკარ-ქეკია“ კი საკვირველი ტიპია. ფიზიკურად უძლიურია: სული რომ შეუფერიო ცხრა-მთას ქით ვადავარდება, ამას თვითონაც კარვთ გრძნობს, და პირ-იქით არავის ეტანება: მაგრამ ფარს კი დროზე მართოს და ეს ფარი არის მისი კუყა-გონება. მოსწრებული ხერხიანობით არა თუ იფერებს დევებს, მსოცარ ფიზიკურ ძალის წარმომადგენლებს, არამედ კიდევ იმორჩილებს. ეს ტიპები ყველა ძველის-

ძველია, ძველი კაცობრიობის კულტურის ნაყოფია. ახლა გადავიდეთ იმ ახალ ტიპზე, რომელიც თვალწინ ხორც-შესხმით დაგვიყენა „მგზავრის წიგნების“ ავტორმა. ეს ვახლავს „კულაბზიკა“. თუ შართლა „ღანკიხობი“ დაძველებული რაინდობის ტიპია, ეს „კულაბზიკა“ უსუსური და სწორად ვერ ვაგებულოკულტურის ნაყოფია. როდესაც „კულაბზიკა“ თავის ვახრეკელ ბაზზე ზის, თავს უქინავეს, ღუებებს გვერდებში უნჭკუტურებს და ახტუნებს, სრული დარწმუნებულია, რომ რაშზე ვხივარო და უნდა თავი ზეკას მიაჭიროს; მაგრამ როდესაც მისი რაში, მუცლის ტყვიელი გამაზარებული, მიწაზე კოტრიალს დაიწყებს, „კულაბზიკაც“ სასოება-დაკარგული დღეამიწაში აბიზრებს მატყერანს. ამ გვარი ტიპები, რასაკვირველია, მსოფლიო ტიპებიც არიან, მიგრამ ვერძობთ კი ნამდვილი ნაციონალური ტიპია დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისა. დასამტყიცებლად გადავავლოთ თვალი ამ ოც-დაათის წლის ხანას ჩვენის ცხოვრებისას. რომელი ვინდა ახაზრებოც აიღე, რას დავინახავთ უმეტესობაში, თუ არ „ღანკიხობებს“, „ფალსტაფებს“ და „კულაბზიკებს“. აიღოთ თუნდ მართა ჩვენი ლიტერატურა. სულ ამ გვარი რაინდობით არ არის ავსილი? ის ჩვენი პუბლიცისტები, ის მწერლები, რომელნიც სხვა ქვეყნის იარაღით „მეტურეილინ მტერსა და მოყვარეს ვერ არჩევენ, დღეს ქარის წისქვილებთან და ცხერის ფარასთან არ იბრძვიან? და ის პუბლიცისტები, რომელნიც, თითქმის ასკი-კუყუს თამაშობენო, დღეს ბქ არიან და ზეად იქ, ვინდა-პატივით იცვლიან აზრისა და მიმართულებას მხოლოდ კუქის მიმდევრობით და ფარად სხვა-და-სხვა წმინდ იდეებს ხმარობენ, იგივე საზოგადო „ფალსტაფები“ არ არიან? ის ახალგაზდა მწერლებო, რომელნიც პირველად გამოინადირებენ ხოლმე ჩვენში დიდი თავმოწონებით, მაგრამ ისევ მალე უკუ-იქცევიან ხოლმე და თავს ანებებენ არა თუ მწერლობას, ქართველობასაც კი, მხოლოდ იმ მიზეზით,

რომ მათი სათემოეყრო იმედები გაუტრუვდათ, რითი არ ჰგანან ჩვენ „კულა-ზზიკას“, ცხენის მუცლის ტკივილის გამო დედამწიფასან ვასწორებულს? თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოება, რომელიც ქების ტაშს უყრავს ამ რაინდებს და ჩვენი სჯობა სხვისასო ამბობს, რა არის, თუ არ იგივე შემკრებლობითი „კულაზზიკა“, მაგრამ აქ კი მადლობა ღმერთს, დღეს ნიშნება, რომ ჩნდება ჩვენში მისთანა ტიპი, რომელსაც ამდენი ხანია სვიმეონ მოხუცებულივით მისარქმელად ვუცდით. მომავალი ამ ტიპის არის და დღევანდელი კულაზზიკობაც მაშინ კულს ამოიძუებს. ის ახალთაობა, რომელიც დღეს თავს იჩენს, მაგალითად ეგ, ნინოშვილები, დ. მგერელები, თ. რაზიკაშვილები, ანასტასია ერისთვის ქალები და ის ახალგაზდა პუბლიცისტები, რომელთაც თავის ქვეყანა შეუსწავლიათ, თავის დედა ენაც, ევროპული კულტურის მომავალი იდეები შეუხისხლნორცებიან, რომ გულ-

წრფელად ემსახურონ თავის სამშობლოს და არა ჩვეულებრივი კულაზზიკური მხნეობით. აი, ესენი არიან პირველი მერცხლები მომავლის გაზაფხულისა. ჯერ ჩვენ იმათზე კრიტიკას არა ვწერთ, მხოლოდ სიტყვამ მოიტანა და გაეკრით ეამბობთ, რომ ან. ერისთვისა და თ. რაზიკაშვილი, რომელთაც ისეთი მომზადება არა აქვთ, როგორც განსვენებულ ეგ. ნინოშვილს ეტყობოდა და აგრეთვე დღუტუ მგერელს, მაგრამ ბუნებითი ნიჭით კი შესანიშნავები არიან და ბევრს კარგსაც უნდა ეელოდეთ მათგან მომავალში, თუ თავის ნიჭს შესაფერს საზღვრს არ დააკლებენ და გულის ფიცარზედაც დააწერენ იმ მცენებას, ურამლისადაც, რაც უნდა ნიჭიერი მოღვაწე იყოს ვერ აღება „ფალსტაფობას“ და „კულაზზიკობას“.

აპოპ

„ევისი ბრაალია“-ს ავტორს *

მკითხველის შთაბეჭდილება.



მერთმა უშველოს გაზეთის მომგონს, თვრა თქვენი მტერია ჩვენი, პროვინციელების საქმე, იქნებოდა! აბა, ეის შეეძლო ყოველთვის ერბინა ჩვენს დედა ქალაქებში და იქ ედევნება თვალ-ყური ჩვენი ერის „შებლა-შეტაკების“ და ცხოვრების დულილი-სათვის? ძალიან კი დაგიდვთ ჩვენ, პროვინციელები, თუ ჩვენი მოწინავე რაზში საზოგადოებისა „მარშლების“ არჩევანებზე და „ბანკაბანობაზე“ ქალაქებში გაჭირვების ოფლში ჰკურყვენ! ეინიციის, იქნება თვითონ არჩევანებს რომ დაესწრებოდით, სულაც ევრაფერი გავეგო ამდენ „სიტყვათა შადრეანობაში“ და ამ დალოცვილ გაზეთში ყოველფერი ნათლათ სწერია: ასე ვასინჯეთ, გაზეთის საწვალებით, არა თუ თვითონ „გამძინებული ეფების მზგაცის, გრგინეთისა და ჰქვით „მოლაზნარაჰი (კურსივი ბ. პანტელის არის) ორატორების სიტყვები, არამედ ზოგზოგი ევაბატონების ფრთებშეუხსნელი ბარტისებური გატაცებული ფრთხილი და ქყლობანიც არ გევაბრება. მართალია, ამ სიცოცხლის დულილის დროს, ან კი ეის სცალია ასეთი ქყლობანის მოსამეწნად, მაგრამ ჩვენ, ჩვენ პროვინციელებმა, არ შეგვიძლია ეს უყურადღებოდ დავტოვოთ, პირველად ამი-

ტომ, რომ ის ქყლობანი და ის გატაცებული ფრთხილი ეკუთვნის ისეთ ახალგაზდა კაცს, რომელსც პირუთენელი და სიმართლისათვის თაე-დადებული უნდა ყოფილიყო; მეორეც იმიტომ რომ, ჩვენ პროვინციელებს ამ საზოგადო ქიდილში წილი არ გვიძეეს; მაშ ამ წერილმანებით მაინც ვაეერთობით.

ასეთის საზოგადოების სიცოცხლის დულილის დროს, როგორც მოვახსენეთ, გაზეთი დიდი „ბეზნა“ და ჩვენც ძლიერ ეაფასებთ მას, მაგრამ ევლწარმოიდგენთ ჩვენს აღტაცებას, როდესაც ხელში ავიღოთ „ივერია“ 19 მაისის ნომერი და შიგ ბ. ილ. პანტელის წერილი „ევისი ბრაალია?“ წაეკითხოთ. ენახეთ თუ არა ეს წერილი, რომელსაც დაუსრულშებელ ეაიგრაფად ბ. ნ. ნიკოლაძის სიტყვები უშვება სინარულით ჭრუანტელმა თავიდან ეფებამდე ეგვიარა: „მადლობა ღმერთს, ახლა მაინც ევილისებოთ პირ-უთენელ და მართალ სიტყვას ჩვენს მოწინავე რაზმზე-თქო“ და სინარულით კითხვას შეშედეგით. იმედ თითქოს კიდევ გაგვიმართლდა და შევნიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე პირველი ფელეტონ-ის პირველმა ნაწილმა. სადაც ავტორი სათეატრო დარბაზში შევნიერად გვისურათ-ბატებს ისტორიულ ქულაჯებას და ჩოხა-სურთუეებს, ერთმანეთში არეულს, ჩინთა-კოპებას და მოდნის შლიაპებს, რომენიცი თითქოს ერთმანეთს ევიბრებენ სიკველუტე-სინარარაგში. ასეთი სურათით მოხებლული, არ შეიძლება, ავტორთან ერთად, სინარულის ტაშის ცემით, არ შესძხოთ: „ბარაქალა, ბარაქალა ქართიელებო!“

*) ისილეთ გეყთი „ივერია“-ს მე-105 №, 1894 წ.

ლიბერალად, რომლებიც ჩვენში, საუბედროდ, ერთობ მრავლობენ, რომ სიკვდილის შემდეგ ღირსეული შეიღობი დაუტოვოს ქვეყნს და იმზე უდიდესი და უსამინელესი დასჯა არაფერია პატიოსანი მოღვაწისათვის, როცა ის გზმობს, რომ ქვეყანა მის სიკვდილს შემდეგ ბედისა და გარემოების ქარის ქროლის ანაბრა ჩიება და საიმედო შეიღობი არა ჰყავს.

უნდა გავხედოთ მოვასხენოთ, რომ ჩვენ სრული წინააღმდეგი ვახლოვართ გადამეტებული ქება-დიდებას; მაგრამ, სანამ ბ. პონტელის ქება-დიდების კალთას ვაღმრავლებდეთ, საჭიროთ მიგანინა აღვიაროთ, რომ ჩვენ არც იმ უმაღლეს შეიღობს ეკუთვნით, რომელზედაც ბრძანა დიდებულმა ჰინემ „ლიტერატურაში (ლიტერატურაც ხომ მოღვაწეობის ერთი დარგია?), როგორც ჩიდილა-ამერიკის ტუტებში შეიღობი მამებს ჰლოვენ, როცა ესერი მოხუტებში შეიღობი და დაუძლიერებინაო.“ ღიად, ჩვენ პატივს ვცემთ არა თუ ისეთ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს, როგორც არიან ბ. ნიკოლაძე და თ. ილ. ჭავჭავაძე, არამედ თვით ჭყლოპინით და უსუსურობით მათ მადიდებელ ბ. პონტელსაც. მაგრამ, უნდა მოვასხენოთ, რომ წვიდა ის დრო, როცა ქვეყანა მუხლებს იყრიდა ავტორიტეტების წინაშე და მათი სიტყვა ყოველ კრიტიკსე. მალა მიჩნედა. წვიდა ის დრო, როდესაც ენც ჯოხის აღება მოასწრებდა, „კაპარლიც“ ის იყო დღეს ყოველმა კაცმა იცის, რომ ქვეყანაზე უტოდელი აღაზიან არის და, აკაცის სიტყვების არ იყოს, ვანა შეიძლება იყოს ქვეყანაზე იმისთანა ჰკვიანი კაცი, რომ ხანდახან სულელურიც რამ არ წამოიღებს? დღეს სულ სხვა დრო ვახლავთ, ბატონებო, დღეს ყოველიფერს აწონ-დაწონიან, ასჯერ ვაზომენ და ერთხელ ვასკრიან და კაცსაც იმდენად აფასებენ, რამდენათაც ის სასარგებლოა ქვეყნისათვის. დღეს საზოგადოებას თავისი მოღვაწეების დასაფასებლად არ ეჭირება არც იაფფასიანი რეკლამები, არც ვატავებული ჭყლოპინი და არც ტამისცემა ამა თუ იმ ჩიტის ბანალა მეფელეტრანისგან. დღეს საზოგადოებას ყოველიფერში თავისი უტყუარი საზომი აქვს და რუსეთის ერთი მწერლის არ იყოს შემსძლარად

„унаеть коней ретивых по ихъ выжженнымъ тавраммъ. унаеть паровня къчливыхъ по высокымъ клобукамъ.“

მაგრამ ჩავეთ ბოლომდე ბ. პონტელის ქება-თა-ქებას და იფუფასიან რეკლამებს:

„ჭავჭავაძე ნაბილია გრეპაზე როგორც დაზაისკელი, ახსრებელი მწიგნობრანი მადანარეკ (ეს რომ ას-

ლი ამაზე არ არის? ჭავჭავაძეს ამ მხრით უოკვი ჩვენგანი, თითქმის უნდაბიგ იცნობს), მაგრამ როგორც 16 მისს, თ. მანაშელს მასუსსა დედას, სწავლა რომ გამეგრებოდა ვეფხესა ჭავჭავაძე გრეპაზე და სტეფა. (აქც ისე გაუტყენა ბ-ნ პონტელი თ. ილ. ჭავჭავაძის ორატორულ ნიჭს, რომ თუ ის (პონტელი) ზვეთი ქანდარბე უფიდილო, თქვენა მტრება, ის ამ ვატყებებს წამება ვისრ-კოსრით ძიძს წამოვიდოდა)... ჯერსანად კი ვურჩევთ ბ-ნ მანაშელს და მისს მომხრებს ილ. ჭავჭავაძესაც კაცთან პრისოლას და კინვალასთან თუ ვაგნებთან (ერთობ ავკურია, გულ-უბრევილო რჩევა, ბ-ნო პონტელთან აქ ვატყები დობუნ და იბჭიან სსზო-გაბო საქმის გამოსარჩევით და ჭეშმარიტების გასაგებად და თქვენ კი ავკურთა რჩევით: თუ ვაგნებო ჭავჭავაძისთან კაცთან პრისოლას, ესეც სო ბ-ნ მუქელს ახარებულ შრეტე, ხიანს“ ჭავჭავაძე ანაგის არგებს ჭავჭავაძისთან გეტებით ბრისადა (?), რადგანც ის ასედი ანარეხით არის ადჭურვილი და გულთაღი მქომაჩო არის.“

რომ თ. ილ. ჭავჭავაძე ცოდნითა და ენერჯით არის აღჭურვილი, მავს თქმა არ უნდა, მაგრამ ნუ თუ ვგონათ, ბ-ნო პონტელი, რომ სხვა ყველა ღმრის ჯობებით არის აღჭურვილი? ნუ თუ ამ სოდნას და მეცნიერებას, რომელსაც თქვენ ახალ-იზარლებს? ეძახით, მარტო ერთმა კაცმა მაიგნო და სხვა ეგრეთ? ვერ დაგაჯერებთ! ეს ღმერთმა ნუ ინებოს, თუბრა მართლაც რომ წყალ-წოდებული იქნებოდა ჩვენი ქვეყანა! არა, ბ-ნო პონტელი, ეს მისთანა იაფფასიანი ვაჭრული რეკლამებია, რომ ჩვენ გულით დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ის თ. ილ. ჭავჭავაძეს დასტამამდი ენახა, სირცხვილი თავის ვაზეთში მაინც არ მისცემდა ალაგს. მაგრამ განეაგრძოთ ქვეით:

„განს ჩვენსა თუ ვადა-ზანაურობის უმეტესობამ და უკეთესსა ნაწილმა არ იცის, თუ რა კაცია ილ. ჭავჭავაძე? ამ უმეტესობას უყვარს ჭავჭავაძე და სანამ ცოცხალი იქნება და თუითონ ისერებს, კიდე ექნება მის საშატიო ადგილი ბანკში, რომელიც დღეს უჭირავს (sic!) განს საღმის არ იცის, რომ ჭავჭავაძემ დიძისთან ამ საშატიო ადგილის, როგორც შედ-მოქმებით მგადნე ბანკის საშატიო, როგორც დღემად განათლებული და მქონე არ ნკუულებრთვის ნიჭის?“

აბა, კარგათ დაუკვირდით, მკითხველო, რა საზიზარო, რა აშკარი ქება-დიდება არის? აბა, სად ვაგონოლა ამ ნაირად თავისივე ვაზეთში კაცის ქებას იმ საზოგადოების წინაშე, რომელიც „მოსულ არის განსჯად და ვანიობხად მის კაცის“ და არა ხობო სა და ქებათა-ქების შესსხმელად. არა, ბატონებო ნუ გამირისხდებით და ბ-ნ პონტელის წერილი ცხობერი ქების შესსხმა არის და მეტი არაფერი.

მაგრამ... მაგრამ ჩაყვებით თუ არა ფელეტონს ცოტა ძველი, ვაი თქვენს მტერს, ეს შთაბეჭდილება დღის ნამივით გიპარწყლებდნენ და თელ წინ ნაცვლად საიმიერ პიროვნელებს მოახზე ახალგაზრდასა, ხელში გრჩებათ პირადობით გატაცებული კაცი, რომელიც ისეთი კანდიდებობით ხმარობს მეწირობისთვის ლტენაში ნაყიდ საქმეებს, „პუმპერაზების საქმე-საღიბებლად, რომ, არა ვგონებ, ამ იფუფსანი საქმეების სურთით თვითონ ამ „პუმპერაზებმა“ (სიტყვა „პუმპერაზი“ თვით პონტელიდან იმსწავლეთ) სურდას ნიშნები მიიღონ არ იგარძონ და რამდენჯერმე ცხვირი არ დააცემინონ.

ჩვენის აზრით, რამდენადაც კაცის პირადობის შეურაცხ-ყოფა და ტალახში გასერა-ვათხუზნა არ არის საქმეები, იმდენად უაღაგო და წრეს-გადასული ქება-ღიბებაც საძაგელია და საზიზღარი.

ბ. პონტელი ისე ვაგუტაცებია ბ. ბ. ნიკოლაძისა და ილ. ჭეჭავაძის ავტორიტეტს, რომ ზარითა და ზემიით გაიძახის: „აბა არს ალღახი, თვინიერ აღღახისა და წინასწარმეტყველნი მისნი ნიკოლაძე და ჭეჭავაძეო.“ მერე იცით, როდის? როცა საზოგადოება თავს იტებს, რომ უფრო ნათლად გავარკვიოს თავისი ერთად ერთი საზოგადო დაწესებულების საქმე და უფრო კეთილ-საიმედო კაცს ჩააბაროს ხელში. არა, ბატონო! ასეთი არჩევების წინააღმდეგ იფუფსანი ვაგუტაციო რეკლამების წერა, აბა, მეტს რასა ჰგავს, თუ არა ქუჩაზე კინტოს ყვირობა: „дули, яблоки хороши, бергамоти хороши!“

აბა, რომელი მკითხველი არ გამოიყენოს ამ დასკვნას, როცა წაიკითხავს ბ. პონტელის ქვემო-სხენებულს სიტყვებს:

„ჩვენ ძალიან შორას ვართ იმასზე, რომ აკაკი წერეთელს ფულიობა და რამდინობა დავსწამით სასოგადო საქმეშია, — ბრძანებს ჯეტონი, — ჩვენ უფროსა გვეყრდ, რომ რაც მოუვიდა აკაკის, მოუვიდა მთლიან შეტრიალით, და; აა, ამ კერა ცუდი შედეგანის შეტრიალების თვისებას ასევე აღუდგინა სასურველი ანაზ, რომ მოკლეს სრულად დასწავლის თვისებას მისთანას საგნებზე, რომელთა გეგმა და რეგულაცია დაფუძნდა, ვინა ჩვენის, თითოეულს სპეციალურ დონასს (Sie)“

ბ. პონტელიც ხომ პოეტია, თუ არ ვცდებით, მაშ რატომ არ დაინება თავი ამ საგანზე ლაპარაკს? თუ მის მხოლოდ „სპეციალური კონტის იმედი“ აქვს, როგორ დაუფუჯროთ, რომ მისი „სპეციალური კონტა“ ამა თუ იმ საქმეში გადაამეტებს აკაკის, ანუ სხვა ვისმეს კონტას. ჯერ ხომ მას არაფერი უჩენია იგივე; ეს მომავალს უნდა მოეკითხოთ).

„დავუთმობთ პანკის საქმეში მგონადე გარესს, და-ვუთმობთ პუბლიცისტგა პუბლიცისტებს. ჩვენს გვეყრდ მისთანა გამოცდილი და ყოველგან განათლი პუბლიცისტა, როგორც არის ნ. ნიკოლაძე (ბ. პონტელა, თქვენი წერილები სომ პუბლიცისტურია? მაშ რატომ თვითონ თქვენ ივისრეთ წერს და ნიკოლაძეს არ ვაგუტო?); მან კარგად იცის საქმე და ისტორია პანკების კვრამაშაგ, რუსეთშიაგ და ჩვენშიაგ. ჩვენს გვეყრდ თ. ილ. ჭეჭავაძე, რომელად 20 წელა, რაც პანკის საქმეს გულ-დასმით ემსახურება, და, მასსადმე, ჰგავდა შესწავლილი აქვს იგი... აა, ამ გარეების ნათქვამს უნდა დაგვეტირდეთ, მათს აზრებს უნდა შევუთანხმობთ ჩვენი აზრს“ და სხვა, და სხვა...

კარგი დავერმართოსთ, მაგრამ ეს ხომ ერთობ დესპოტური მოთხოვნილებაა, ბ. პონტელი! როგორ თუ ამ კაცების აზრებს უნდა შევეუთანხმობთ ჩვენი აზრით? განა არ იცით, ბატონო, რომ ქვეყანაზე უფრო დელი და შეუფერადი კაცი ჯერ არ დაბადებულა? (ეს თქვენ მიერ დასახლებული პირებიც ხომ კაცები არიან ბ. პონტელი?) განა მარტო ეს კაცება იქნებიან უცოდელი ყოველგან და ყოველფერში? ერთობ ბავშური და გატაცებული ლაპარაკია! ჩვენ კი გვეგონა, რომ მარტო მაგისთანა გამოცდილი და მცოდნე კაცებთან ლაპარაკით და კამათით გამოირკვეოდა საქმე და არა აუხე და კარგზე კვირის დაკვირთა და, გინდა, არ გინდა, აზრების შეთანხმებით... მაგრამ რა? ხომ გავიგონათ, ბ. პონტელი, ანდაზა: „ვის ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არისო“.

ახლა თუ გინდათ, ბ. პონტელი, მივუბრუნდეთ ამ თქვენ მიერ უაღაგოთ ქებულ-ღიბებულ და მეშვიდე ცამდის აყვანილ საზოგადო მოღვაწეებს და ვკითხოთ: რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა ხობტის შეძენამ და ქებათა-ქებამ ამ ღირს მამულის შეიღებზე?

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ თუ იმათ კი უღვივით მყარდ ქვეშ ნაგერქალი თავის ერის სიყვარულისა და ხალხის წინ მსველლობის სურვილისა (და რომ უღვივით ეს საკმაოდ დაგვიმტყია ერთმად და მეორემად), თვალ-ცრემლიანები გვიპასუხებენ: „ვაი, ჩვენი ბრალი, რომ ჩვენ აძღვნი ხნის ცდასა და სურვილებს უქმად ჩაუვლიათ და ჩვენს ერს კაციც არ ჩიება, რომ ჩვენს შემდეგ მტერს მტრობა გულწონს და მოყვარეს მოყვრობა.“ „ის სჯობს მამულისათვის, შვილი სჯობდეს მამასაო“ — ამბობს ჩვენი შენიერი ანდაზა და ჩვენც ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველ საზოგადო მოღვაწის უღიდეს სურვილის შეადგენს (რასაკვირველია, თუ ის ნამდიდრ საზოგადო მოღვაწედ შეუქმნია განგებას და არა „კრუ

ერთი ეს გვიბძანეთ, ბ-ნო პონტელი, ასე გადაწყვეტილი და დადასტურებული რომ ბძანებთ: საზოგადოების თავიდანვე აქვს თ. ილ. ქვეყნაძემზე თავისი აზრი შედგენილი და თუ ქვეყნაძე მოისურვებს, კიდევ ამოიჩინებინო, მაშასადამე, რა საჭირო იყო ამდენი კრებები? მაშ რად იტყვდა თავს ამდენ ხანს ოპპოზიცია? ნუ თუ ეს ოპპოზიცია საზოგადოება არ არის? მაგრამ, ეჰ, რომელი ერთი გვითხვით, ბ-ნო? იქ, სადაც პირადი სიმპატია და ანტიპატია გამბდარა სიმართლის საზომი, განა შეიძლება ლაპა-რაკი?..

აჩრახს სოფელ ისეთი კრიტიკოსები (თუ კრიტიკანები), რომელნიც თსზულების განხვევის დროს, სუფთად და გულთი ცდილობენ თსზულების აკრორის-კენ გადასართან შეითხულებს სიმპატია; მაგრამ სმი-რად ამას ვერ ასწავლებენ და სიმპატიის მატორად მკითხველს სიარულადს აგრძნობინებენ აკრორისადმი. ამ გვერდ კრიტიკოსებს სულ იმიტომ ეპართებათ ეს, რომ უნდალა ქება-დიდებათა და იყუ-ფასიანი რეკლამებით ამგებენ თსზულების აკრორს*.

სწორედ ეს გარემოება დაიწყებია ბ-ნ პონტელს, როცა ის თავის „ვისი ბრალია?“ სწერდა და კიდევ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ, მიუხედავად ამ გატაცებული ქება-დიდებისა, ჩვენ გვჯანია, რომ ის, ვისთვისაც ამდენი გულდრეკი და მური დაუხარჯავს ბ. პონტელს, უფრო იმიტომ უნდა იყოს თავ-გამოდ-


ბული, რომ რაც შეიძლება, უფრო დიდხანს ისარგებლოს საზოგადოება ხაჰაურით. ცარიელ ჯაშში ხელს არავეს ჩაყოფსოვის ნათქვამია ღ თუ ვინმე ბანკის მმართველის ალავისთვის თავს იტყვს, იმიტომ, რომ ცხარა-ასი თუმანი კარგი ფულია; ამა, ერთი სკადლს საზოგადოებამ და ეს საპატია ალავი ბანკის მმართველის უჯამაგირად. უსასყიდლოთ საპატია ალავად აღიაროს; ამა, მაშინ ნახეთ, ბ-ნო პონტელი, თუ ბოლო არ მოეღოს ამ დაუსრულებელ ბრძოლას და პარტიობას; ამა, მაშინ ნახეთ, თუ ვინმე გაიხრება შეხლი გმამჩინებელი ქვეა-ქუხილით*. არა, ბ-ნო პონტელი, ამ გვარი გულ-უბრყვილობა სწორედ იმ გულ-უბრყვილო ბაშვს გავაგონებს, რომელსაც მკლუ-ბმა ცხვარი მოსტაცეს და დედას ამბავს ახევერებდა, ერთი მგელი ჩვენსკენ გზიღებოდა.

დასასრულ ვისურვებთ, რომ ბ-ნი პონტელი ავტორიტეტობას ისე არ გაეტაცებოს, რომ ბ. მეველის მეშვროეშინა*-შაყ არ მივლოს მონაწილეობა და ბატონ-ყმობის დაბრუნებზე არ დაეწყოს ქადაგი (მეველეს ხომ ავტორიტეტი?)

ამა, მაშინ მოკავაგონებდით ბ-ნ პონტელს თეითან მის მიერვე დიდი ხნის წინად „კვალის“ საწინააღმდეგოდ მას მიერ ეპარგუაუდ ხმარებულ რუსულ ანდაზას *Горы породили мышь** (მთამ დაიხუელა და თავიუხია გამობტაო).

პეტრე პავლიძე.

ს.ტ. საჭერელი 22 მაის.



საყურადღებო ამბები

ფილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრებებზე წელს, გარდა აკვალის* წინა ნომერში მოსვენებულია, გადაწყდა შემდეგი საქმეები: 1) ოცი პროცენტი დივიდენდის შეამკირეს ათ პროცენტამდის და იქიდან დაარსეს სამეურნეო თანხა. 2) სტელაში მოაქციეს ესე იგი, გადაარჩინეს იმ საზოგადო საკეთილ-დღეო თანხიდან, რომელიც შემდგარია 1893 წელს იმდენი ფული, რაც წელს სათავად-აზნაურო სკოლას დააქვდა. 3) შვედეთ-ბულ სტროლის ზედამხედველ კამიტეტისა და გაბე-ობისას მიერად მოხსენების შედგენა წელს, თუ რა ღონისძიებით უნდა შემეცირდეს უფლება ექცილობის მიცემაზე, რომ ბოროტ-მოქმედება კრებებზე ამ შემთხვევაში მოისპოს. 4) გადაწყვიტეს, სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების სახელზე დამტკიცდეს სკრას მამული, რომ შემდეგ შესაძლებელი იყოს სამეურნეო სკოლის გახსნა. 5) ამოიჩინეს

იქმნენ დიდალი ხმის უმეტესობით თ. ილია ქვეყნაძე თავმჯდომარედ ბანკის გამგეობისა; უკანათლევ ბულესი თავადი მ. ა. გრუზინსკი—წევრად გამგეობისა; თ. აღ. ეახვანიშვილი და თ. დიმიტ. ჩოლოყაშვილი გამგეობის წევრთა კანდიდატებად; დამფასებელ კამისის წევრად კონსტანტინე ფურცელაძე, ზედამხედველი კამიტეტის წევრებათ უკანათლ. პეტრე გრუზინსკი, თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი, თ. დ. ა. გურამიშვილი თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი, თ. ე. მ. თუმანიშვილი, თ. ლ. გ. ჯანდერი, პ. ი. ყიფიანი, გ. დ. ტურული, თ. რ. ერისთავი, რ. ჯავახიშვილი და ა. კობიაშვილი.



ეგ. ნინოშვილის დამარხვის დღეს სხვათა შორის ნახიჩევანის ქართველებისგან მოვიდა შემდეგი დღებმა: „ძლიერ შევიწხნით ნიჭიერ ბელეტრისტის ნინოშვილის უღროოდ გადაცვალების გამო. გთხოვთ,

განუცხადოთ ნათესავთა და მეგობართა ჩვენი გულ-
ახილი სამძიპარი*.

* *

განსვენებული ეგ. ნინოშვილის დასასაფლავე-
ბლად შვედრაციელი ფულიდან გადაჩენილა ას-ოც-
და-ოთხი მანეთი (12½ მ.), რომელიც მოუვიდა
„ველის“ რედაქციას* მისი ძმის-წულის ვასაზრდე-
ლად. ამ ფულში ნ. ლოდობრიძეს შეუწირავს ოცი
მანეთი, პეტრე უმიკაშვილს ათი მანეთი, ქუთაისის
გამომცემელ საზოგადოებას ოც-და-ხუთი მანეთი და
სხ. იმედია, ეს პირნი ამით არ შესწყვეტენ თავის სა-
ქველ-მოქმედო დახმარებას იმ ყმაწვილის გამოსა-
ზრდელათ.

* *

ასკანის უფასო წიგნთსაცავის და სახალხო სა-
კითხავის გამმართველნი ბანი სლომოზნ კეიშვილის
პირით მადლობას უცხადებენ „წერა-კითხვის გამავრ-
ცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც შემოწირა ოც-
და-ხუთი მანათი, ი. გოგებაშვილს, რომელმაც თა-

ვის გამოცემებს გარდა, სამი მანეთის სხვა წიგნებიც
შეწირა, ესტატე ჩხარტიშვილს ათი მანეთის შემო-
წირვისათვის, „ველის“, „ჯეჯილის“, „ივერიის“ და
„ახალი მიმოხილვის“ რედაქციებს თავიანთ გამოცე-
მების უსასყიდლოთ დათმობისათვის.

* *

დღეს კვირას დანიშნულია კრება მასწავლებელ
ქალთა საზოგადოებისა იმ სკოლის წლიურ ანგარი-
შის გამო, რომელიც ამ საზოგადოებამ დააარსა შა-
რზან ეყენისთიდან ტფილისში. ეს სკოლა მითი
განსხვავდება სხვა შრავალ სკოლებისაგან, რომ აქ
ყმაწვილებს თავიანთ დედა ენაზე აუყვებინებენ სწავ-
ლას და ამან უნდა გამოიწვიოს თანაგრძნობა ყველ
იმ მშობლებისა, რომელნიც მიხედენ, რომ მხოლოდ
სამშობლო ენაზე სწავლის დაწყებით შეიძლება ყმა-
წვილების გონების განვითარება. მიეაქცეეთ ჩვენი
თავად-აზნაურობის ყურადღებას, რომ მათ თავიანთი
შვილები მისცენ მოსამზადებლად ამ პირველ და-
წყებით სკოლაში.

მომავლა, თერაძი ქვის ანუ მინანქრის ხელოვნება.



ქ დახატული სახე
იუსტინიანე იმპე-
რატორისა მინან-
ქრის ხელობით არის გა-
მოყვანილი. ეს ხელობა ძა-
ლიან ძველი დროიდან მო-
მდინარეობს. იგი იყოღენ
ასურეთში, საიდანაც გადი-
ლეს საბერძნეთს, ბერძნე-
ბიდან რომის ხალხმა შეი-
სწავლა, რომიდან გადვი-
და ქრისტიანულს ბიზან-
ტიაში. შემვიდნ საუკუნეს
ქრ. აქეთ, ხატის მებრძო-
ლთა მწველებლობამ ძა-
ლიან დასცა ეს ხელობა ბი-
ზანტიაში. მისი საუკეთესო
ხელოსნები გაიზნენ უცხო-
ქვეყნებში, სხვათა შორის
თავი შეაფარეს სპარ-
სეთს და საქათვლოს გან-
საკუთრებით წარმატებას
მიეცა ეს ხელობა ბაგრა-



ტიდების სამეფოზე
ლოში არღანუჯის მა-
ზრაში, სადაც არიან
დღემდე დიდებული ნა-
ნგრენი ძეგლის მოწას-
ტრებისა. დღეს ძველი
მინანქრის ანუ მოზაი-
კის ხელობის ნიმუშე-
ბით არიან ავსებული
ჩვენი მონასტრები, გე-
ლათისა, მარტვილისა,
შემოქმედისა და ხო-
ფისა.
გელათში არის ხანუ-
ლისა ლეონიმოზლის
კუბოს კარებზე ისეთი
წმინდა მინანქრის ხე-
ლობა, რომლის ბადა-
ლი დედამიწის ზურგზე
აღარ მოიპოება: განსა-
კუთრებით ჯვარცმა მუ-
ცხრე საუკუნის ნაშთი და
ერთი ჯვარცა. თვით ეს
ნიმუშებიც საკმარისია,
რომ შეცნოებო და მ-
ტიკოს, რომ ასე მა-
ლო წერტილზე ასუ-
ლი მინანქრის ხელობა,
როგორც ამ ძველ დრო-

იმპერატორი იუსტინიანე

ში ყოფილა საქათველოში, არსად უნდა ყოფილიყო. ასეთი წმინდა მინაქრის, ანუ მოზაიკის ხელობა დღეს დაიწყებულია და ვერც გააკეთებენ ამნაირს ხატს. ძველი მოზაიკური ხელობა იმაში მდგომარეობდა, რომ შუშას გააღებდნენ და შემდეგ შიგ გაურევდნენ ფერად წამლებს. მერე ამ გაღებულ შუშას დასწამდნენ მარმარილოს ფიკარზე და სანამდის გაციედებოდა, დაჭრიდნენ შუშის ცოხს პატარა-პატარა კუბოკრულ მინებად და ერთი მგორესთან ისე შეხამებთ დაწყობდნენ, რომ სურათი ღამაში გამოსულ იყო.

ბით აკეთებდნენ, რომლის კუბოკრულშიაც ჩაასხამდნენ შუშის ცოხს. მაგრამ დაწერილებით კი არაინიცი, როგორ ახერხებდნენ ისეთ წმინდა ნაკეთებს მოზაიკის მხატვრობისას, რომელსაც დღეს განციფრებაში მოყვართ თავისი შვენიერებით და ზეღამეტებული ხელობით.


უფრო წმინდა ხელობას კი ოქროს წმინდა ბჭკლე-

ამ ჩვენ დროში ისევ დაწყეს მოზაიკის ხელობის განახლება; მაგრამ ძველს ხელობაზე მაინც ძალიან შორს არიან.

გ. წყნაშვილი

საში ამბავილი კოშკი

კრუნდელმა ანგერის (ანტერპენის) მსოფლიო გამოფენის გამგეობამ განიზრახა ცაში აგება დიდი კოშკისა ქვეყნის გასაკვირებლად. ეს კოშკი იქნება მიზმული უზარმაზარ ჰაერის ბურთზე. მისი სიგძე ოცდათუთხმეტს საყენსა და სიგანე თუთხმეტს საყენამდის უწყეს. მთელი ბურთის სიძიძემ თავის კოშკიანა ოცდათუთხმეტი ათს ექვსას ოცი კილოგრამი უნდა იყოს, ოთხი მაგარი რკინის გრუნბილი თოკი დაიჭერს ჰაერში ამ უზარმაზარს მანქანას, რომელიც იქნება სამოკდა თუთხმეტ საყენსიმაღლესზე ჰაერში ატანილი. თვითონ კოშკი უნდა იყოს ფოლადის მართულბისაგან გაკეთებული, იქნება გაკრული და რკინით გადასურული რომ-



ცა ჰაერში ქარიშხალი აღიჭრის, მაშინ კოშკს ძირს ჩაუშვებენ. ეს კოშკი იქნება ღამით ელექტრონის საშუალებით განათებული და საციირველი სანახავიც, რადგან დემგზავსება დიდშენიერს ცეცხლის ბურთსა, რომელმაც, როგორც დღე, ისე უნდა გაანათოს მთელი მსოფლიო გამოფენის ქალაქი. კოშკზე იქნება მობართული ვარსკვლავთ მრიცხველობის მოწყობილობა და შუქის ტელეგრაფი. თუმცა ასეთი საციირველი ავტოზულბა უნდა ზღვროს საერო მთავრობას გაემართა, მაგრამ დღემდის კი არ ვიციით, მოასწრო თუ არამან ასეთი დიდებული შერაბის დამთავრება გამოფენის დაწყებამდის.

მცირე ფიქრები

I

მისრიალებს, მიჰქრის მატარებელი... მისი აღბრული მხურვალე გული გმირული ძვერით ისერის გაშმაგებით/ორთქლს, რომლის

